▸

შპს „ქვები“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ქვები“

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
სრული შემოსავლის ანგარიშგება
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა
2. მომზადების საფუძველი
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
6. ფული და ფულის ეკვივალენტები
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
8. მარაგები
9. წინასწარ გადახდილი თანხები
10. ძირითადი საშუალებები
11. კრედიტორული დავალიანება
12. საწესდებო კაპიტალი
13. შემოსავალი
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები
16. სხვა საოპერაციო ხარჯები
17. საკურსო მოგება / (ზარალი)
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
19. სხვა არასაოპერაციო ხარჯები
20. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები
21. საანგარიშო პერიოდის შემდეგომი მოვლენები

შპს „ქვები“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენი შვნა	2022	2021	2020
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	187,060	83,600	84,861
სავაჭრო სა სხვა მოთხოვნები	7	240,768	330,083	308,058
მარაგები	8	50,752	71,241	17,346
წინასწარ გადახდილი თანხები	9	10,044	6,794	5,145
		488,624	*491,718*	*415,410*
გრძელვადიანი აქტივები				
მიწა		84,150	24,000	24,000
ძირითადი საშუალებები	10	43,120	64,203	103,128
არამატერიალური აქტივები		-	-	-
		127,270	*88,203*	*127,128*
სულ აქტივები		***615,894***	***579,921***	***542,538***
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		3,000	1,500	3,812
სავაჭრო ვალდებულებები	11	32,672	11,646	27,827
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	18,620	9,800
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	-	2,986
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	270,555	17,392
სხვა ვალდებულებები	16	8,204	154,632	141,437
		43,876	*456,953*	*203,254*
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები თანხები		51,000	93,774	181,108
სულ ვალდებულებები		***94,876***	***550,727***	***384,363***
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი		521,017	29,194	158,175
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**615,894**	**579,921**	**542,538**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
იმედა გვარამაძე

თბილისი,
საქართველო
25 სექტემბერი, 2023წ

5-18 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ქვები“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	განმარტებითი შენიშვნები	2022	2021
შემოსავლები	13	2,105,920	1,031,309
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(1,308,450)	(1,006,827)
საერთო მარჟა		**797,470**	**24,482**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(259,778)	(158,928)
სხვა საოპერაციო ხარჯები (ცვეთა/ამორტიზაცია)		(308)	(492)
საოპერაციო მოგება		**537,384**	**(134,938)**
ფინანსური მოგება/(ზარალი)		**(47,511)**	**(11,395)**
საპროცენტო შემოსავალი		6,576	-
საპროცენტო ხარჯი		(10,642)	(24,604)
საკურსო მოგება/(ზარალი)	17	(43,445)	13,209
წმინდა ფინანსური მოგება/(ზარალი)		**2,060**	**17,352**
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18	5,235	51,130
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19	(3,175)	(33778)
მოგება დაბეგვრამდე		**491,933**	**(128,981)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
გაცემული დივიდენდი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**491,933**	**(128,981)**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
იმედა გვარამაძე

თბილისი,
საქართველო
25 სექტემბერი, 2023წ

5-18 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ქვები“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2020	-	158,176	158,176
წლის სრული მოგება	-	(128,981)	(128,981)
31 დეკემბერი 2021	-	29,194	29,194
წლის სრული მოგება	-	491,823	491,823
31 დეკემბერი 2022	-	521,017	521,017

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
იმედა გვარამაძე

თბილისი,
საქართველო
25 სექტემბერი, 2023წ

5-18 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ქვები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ქვები (ს/კ404546700) (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრაციის მისამართი არის საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ტ.შევჩენკოს ქ. N1, საოფისე ფართი 21. კომპანია დაფუძნებულია 2017 წლის 26 ოქტომბერს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
დარეჯან გვარამაძე	99,5%	99,5%	99,5%
ლაშა კვირიკაძე	0,05%	0,05%	0,05%

კომპანიის დორექტორი 2017 წლიდან არის იმედა გვარამაძე, დირექტორი უშუალოდ ჩართულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაში.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდეგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 2022 და 2021 წლებში. 2022 ფინანსური წლის განმავლობაში კომპანიის ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივებიც, მნიშნელოვნად აღემატება კომპანიის ვალდებულებებს, როგორც ჯამურს ასევე მიმდინარეს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანას ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. *ფასს 16 "იჯარა"* რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა ამ ეტაპზე, დეტალური განხილვის დასრულებამდე, ამ გავლენის შეფასება არაპრაქტიკულია.

ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის მეხუთე, რომელიც კომპანიამ მოამზადა.
შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება ფასს-ს, მოქმედს 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბერს, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

2017 წლის იანვრიდან საქართველოში მოგების გადასახადის აღრიცხვის წესი შეიცვალა და ამ თარიღდან კომპანიის საგადასახადო მოგება ან ზარალი თანხვედრაშია საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების მიხედვით მიღებულ მოგებასა ან ზარალთან, რაც თავის მხრივ აუქმებს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების აღიარების საფუძველს ამ თარიღიდან. შესაბამისად კომპანიის მოგების გადასახადი წარმოადგენს კომპანიის მიერ გაცხადებულ და გაცემულ დივიდენდებზე დარიცხულ გადასახადს, ასევე ისეთი ტიპის ხარჯის გადასახადს, რომელის შინაარსობრივად გათაბრებულია დივიდენდთან.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.
თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები. ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც

პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.
ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.
ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების აღიარება ხდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. 2022 წელს კომპანიას ნასესხები აქვს თანხა ფიზიკური პირისაგან.

შპს „ქვები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები *(გაგრძელება)*
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილ გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არაანაზღაურებადი შემენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

ქონების და აღჭურვილობის კომპონენტის, რომელიც ცალკე აღირიცხება, შესაცვლელი ხარჯები კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტების საანგარიშო ღირებულებით. სხვა მომდევნო ხარჯი კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი წარმოიშობა ამ ხარჯებისგან. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საკუთრებაში არსებული მიწა არ ამორტიზირდება. ყველა სხვა აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპულატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშულების ჯგუფი	*სასარგებლო პერიოდის ვადა*
შენობა-ნაგებობები	5-25 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	5-15 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-10 წელი
მანქანა-დანადგარები	3-15 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობდა ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზიას, რომელსაც ვადა ამოეწურა 2020 წლის აგვისტოს თვეში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე, მოიცავს მასალის ხარჯს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს ცალკე საპენსიო სქემა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის გარდა. კომპანიას არ აქვს გათვალისწინებული საპენსიო შეღავათები.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება დამფუძნებლის მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანებისგან და დაგროვილი მოგებისგან, კომპანიას არ აქვს დამფუძნებლის მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში. კომპანიას არ აქვს ვალდებულება მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება საწარმოში და ამონაგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი, იმის მიუხედავად როდის ხდება გადახდა.

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ქონება, არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღაირებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის ბასს 39-ს (და ფასს 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

- ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებთ), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.
- ფინანსური ვალდებულებებისათვის, ფასს 9 -ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში) თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, ფასს 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.
- ხეჯირების აღრიცხვისათვის, ფასს 9 წარმოადგენს არსებით ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არა-ფინანსური რისკების საფრთხეების ხეჯირებისას.
- დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის ბასს 39-დან.

მენეჯმენტი მოელის, რომ ფასს 9 მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური

შპს „ქვები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები *(გაგრძელება)*
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან“ (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლეინტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე) , ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა), მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 15 მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანიის იჯარით აქვს აღებული ფილიალები, რომელთაგან ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რამე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტეპრეტციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.
ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

გადასახადები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები იქნება გამოყენებული. მნიშვნელოვანი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები. კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების საექსპლუტაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფულის ნაშთი შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	103,405	65,090	84,858
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	83,655	18,510	3
	187,060	***83,600***	***84,861***

7. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	204,981	170,457	103,541
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	17,442	115,035	117,882
საგადასახადო მოთხოვნები	18,345	44,591	86,634
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	***240,768***	***330,083***	***308,057***

8. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მზა პროდუქცია (ამოღებული ბალასტი)	-	8,135	8,848
სამშენებლო საქმიანობაში გამოსაყენებელი მარაგი	43,102	60,595	4,295
მცირეფასიანი მასალა და ინვენტარი	7,443	2,512	4,203
საწვავი	207	-	-
სულ მარაგები	**50,752**	**71,241**	**17,346**

9. წინასწარ გადახდილი თანხები

კომპანიის წინასწარ გადახდილი თანხები არის მომწოდებლებზე გაკეთებული გადახდები (ავანსები), რათა არ შეფერხდეს სამუშაოების მიმდინარეობა.

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	სამშენებლო და საწარმოო ინვენტარი	არამატერიალური ატივი	სულ
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	24,000	177,550	-	201,550
მატება/კლება	-	(36,105)	-	(36,105)
31 დეკემბერი 2021	24,000	141,445	-	165,445
მატება/კლება	60,150	-	-	60,150
31დეკემბერი 2022	84,150	141,445	-	225,595
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2020		(74,422)	-	(74,422)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(23,771)	-	(23,771)
ცვეთის ამობრუნება	-	20,951		20,951
31 დეკემბერი 2021	-	(77,242)	-	(77,242)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(21,083)		(21,083)
ცვეთის ამობრუნება	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022		(98,325)		(98,325)
ნარჩენი ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	24,000	103,128	-	127,128
31 დეკემბერი 2021	24,000	64,203		88,203
31 დეკემბერი 2022	84,150	43,120	-	127,270

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით. კომპანიას არ აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები.

11. კრედიტორული დავალიანება

კომპანიის კრედიტორული დავალიანება 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საიჯარო ვალდებულება	3,000	1,500	3,812
სავაჭრო ვალდებულებები	32,672	11,646	27,827
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	***35,672***	***13,146***	***31,639***

კომპანიის კრედიტორულ დავალიანებებს არ ერიცხება საპროცენტო ხარჯი. კომპანიის ვალდებულებების დაფარვის ნორმალური ვადაა 30-60 დღე

12. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისაგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან. კომპანია გასცემს დივიდენდს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაუგროვდება გაუნაწილებელი მოგება.

13. შემოსავალი

	31 დეკემბერი ***2022***	31 დეკემბერი ***2021***
შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	2,105,920	1,031,309
სულ შემოსავალი	***2,105,920***	***1,031,309***

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი ***2022***	31 დეკემბერი ***2021***
მასალის დანახარჯები	815,708	596,865
ბალასტის ხარჯი	-	714
საწვავის ხარჯი	8,773	7,858
პირდაპირი ხელფასი	217,614	195,230
ქვეიჯარა	90,607	109,914
სპეცტექნიკით მომსახურება	115,387	38,899
ცვეთა და ამორტიზაცია	20,776	23,279
საპენსიო 2% და დაზღვევა	5,067	4,460
ქირა / იჯარა	28,880	10,169
სხვა ხარჯი	5,639	19,440
	-1,308,450	***-1,006,827***

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი ***2022***	31 დეკემბერი ***2021***
შრომის ანაზღაურება	191,132	108,260
საკონსულტაციო ხარჯები	40,782	24,069
საპენსიო ანარიცხები	3,221	1,928
საგადასახადო ხარჯი	1,211	1,509
საიჯარო ქირა	7,500	7,500
საბანკო ხარჯი	1,772	384
ცვეთა და ამორტიზაცია	308	492
საწვავის ხარჯი	12,035	7,501
სხვა ხარჯი	2,126	7,777
	-260,086	***-159,420***

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	31 დეკემბერი ***2022***	31 დეკემბერი ***2021***
გადასახდელი პროცენტები	8,027	153,693
გადასახდელი საპენსიო გადასახადი	177	939
	-8,204	***-154,632***

17. საკურსო მოგება/(ზარალი)

	31 დეკემბერი ***2022***	31 დეკემბერი ***2021***
დადებითი საკურსო სხვაობა	1,515	24,311
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(44,960)	(11,102)
ზმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	***-43,445***	***13,209***

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	31 დეკემბერი ***2022***	31 დეკემბერი ***2021***
ბალასტის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	-	6,203
საშემოსავლოს შეღავათი	-	1,288
ძ/საშუალების რეალიზაცია	-	41,688
სხვა	5,235	1,951
	5,235	***51,130***

19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი	31დეკემბე
	2022	***2021***
გაყიდული ძ/საშუალების თვითღირებულება	-	(33,778)
სხვა ხარჯი	3,175	-
	3,175	***-33,778***

20. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმების, ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც ეს დარღვევა მოხდა 3 წელია გასული. ასეთი გარემოებები რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი ვიდრე სხვა ქვეყნებში.

21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.